

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №485

2007 წლის 14 მაისი

ქ. თბილისი

ავტომფლობელთათვის ზედმეტად გადახდილი ქონების გადასახადის თანხის დაბრუნების თაობაზე

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 281-ე მუხლის მე-17 ნაწილისა და საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №39 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1

1. 2007 წლის 1 იანვრამდე საქართველოში დადგენილი წესით რეგისტრირებული, 6 წელზე მეტი ხნოვანების მსუბუქი ავტომობილების (საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 კოდით გათვალისწინებული საქონელი) მიხედვით ქონების გადასახადში გადახდილი თანხები ჩაითვალოს აღიარებულ ზედმეტად გადახდილ თანხად, ხოლო ამ გადასახადის სახეში შეუსრულებელ საგადასახადო ვალდებულებებზე არ გავრცელდეს საგადასახადო, ადმინისტრაციული ან სხვაგვარი პასუხისმგებლობა.

2. აღნიშნული ბრძანების პირველი მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ქონების გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირი უფლებამოსილია საცხოვრებელი ადგილის მიხედვით შესაბამის საგადასახადო ორგანოში წარადგინოს „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის“ გამარტივებული ფორმა, თანახმად დანართი 1-ისა, მის მიერ ზედმეტად გადახდილი ქონების გადასახადის თანხის დაბრუნების მიზნით, რომელსაც უნდა დაერთოს გადასახადის გადამხდელის პირადობის მოწმობის ასლი და გადასახადის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (მისი დაკარგვის შემთხვევაში გადასახადის გადამხდელის მიერ მოძიებულ იქნეს მისი მომსახურე ბანკიდან).

3. „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის“ წარდგენა შესაძლებელია უშუალოდ საგადასახადო ორგანოში ჩაბარებით ან დაზღვეული საფოსტო გზავნილის გაგზავნით. ორივე შემთხვევაში ამ ბრძანებით განსაზღვრული ვადები აითვლება საგადასახადო ინსპექციაში „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის“ რეგისტრაციის დღიდან.

4. საგადასახადო ინსპექციის ადმინისტრაცია (აპარატი) ვალდებულია „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა“ დაარეგისტრიროს წარდგენის დღესვე და გადამხდელის მოთხოვნის შემთხვევაში არსებული წესის შესაბამისად აცნობოს გადამხდელს რეგისტრაციის თარიღი და ნომერი. ადმინისტრაცია (აპარატი) „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნას“ პირდაპირ გადასცემს გადამხდელთა მომსახურების სამმართველოს რეგისტრაციის დღიდან არა უგვიანეს ერთი სამუშაო დღისა.

5. გადამხდელთა მომსახურების სამმართველო „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის“ რეგისტრაციიდან 5 სამუშაო დღის ვადაში:

ა) ადარებს „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნისა“ და თანდართული დოკუმენტების ურთიერთშესაბამისობას;

ბ) ამოწმებს „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის“ წარმდგენი პირის პირადი აღრიცხვის ბარათს.

6. თუ „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა“ შევსებულია არასრულად ან არასწორად, არ ახლავს ამ ბრძანების პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები, გადამხდელთა მომსახურების სამმართველო მომდევნო 3 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს საგადასახადო ინსპექციის მიერ დასაბუთებული გადაწყვეტილებით ამ მოთხოვნის უკან დაბრუნებას. გადამხდელს გადაწყვეტილებითვე უნდა ეცნობოს, რომ:

ა) ამ საფუძველით „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის“ უკან დაბრუნება არ ართმევს გადამხდელს უფლებას საგადასახადო ინსპექციას წარუდგინოს ახალი „მოთხოვნა“ გადაწყვეტილებაში მითითებული ხარვეზების გამოსწორებით;

ბ) გადამხდელი უფლებამოსილია გაასაჩივროს მითითებული გადაწყვეტილება საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით.

7. მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება და „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის“ წარმდგენ პირს უარი ეთქმება ზედმეტად გადახდილი ქონების გადასახადის თანხის დაბრუნებაზე, თუ მას ერიცხება საგადასახადო დავალიანება. პირს უართან ერთად განემარტება მისი უფლება, ზედმეტად გადახდილი ქონების გადასახადის თანხა ჩაითვალოს მომავალ საგადასახადო ვალდებულებების ანგარიშში ან გადაიტანოს სხვა გადასახადების გადახდის ანგარიშში.

მუხლი 2

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური ახორციელებს საგადასახადო შემოსავლის



ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნებას, ბიუჯეტის შემოსულობათა ერთიანი ანგარიშის საგადასახადო შემოსავლის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების ქვეანგარიშიდან, „ბიუჯეტების შემოსულობების აღრიცხვა – ანგარიშგებისა და ანგარიშსწორების განხორციელებისა და ბიუჯეტში ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი შემოსულობის თანხის დაბრუნების, აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 14 მარტის №45 დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-12 მუხლით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

2. სახაზინო სამსახურის მიერ აღნიშნული ბრძანების პირველი მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ქონების გადასახადის თანხის გადამხდელთათვის უკან დაბრუნება სახაზინო სამსახურის მიერ განხორციელდეს ავტომატურ რეჟიმში საქართველოს ფინანსთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის“ წარმდგენი პირის მიერ მითითებულ ანგარიშზე.

მუხლი 3

1. დაევალოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესაბამის სამსახურს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გადასახადის გადამხდელთათვის თანხების დაბრუნების პროცესის დაწყების და მიმდინარეობის გაშუქება.

2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს შემოსავლების სამსახურის შესაბამისმა სამსახურმა.

მუხლი 4

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ა. ალექსიშვილი

დანართი №1

გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა

საგადასახადო ინსპექციის დასახელება-----

გადამხდელის დასახელება-----

(გვარი, სახელი/დასახელება)

საიდენტიფიკაციო ნომერი ან მოქალაქის პირადი №

საცხოვრებელი (საქმიანობის) ადგილის მისამართი

გაცნობებთ, რომ საქართველოში დადგენილი წესით რეგისტრირებული, 6 წელზე მეტი ხნოვანების მსუბუქი ავტომობილების მიხედვით ქონების გადასახადში 2007 წლის 1 იანვრამდე გადახდილი თანხის გამო, წარმომეძმნა აღიარებული ზედმეტად გადახდილი თანხა.

გთხოვთ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 281-ე მუხლის მე-17 ნაწილის შესაბამისად, ქონების გადასახადში არსებული ზედმეტად გადახდილი თანხა ----- ლარის ოდენობით, დამიბრუნოთ -----
----- ბანკის ----- ფილიალში გახსნილ №----- ანგარიშსწორების ანგარიშზე.

მოთხოვნას თან ერთვის თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები.

ხელმოწერა ----- „-----“ ----- 2007 წ.

